ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამაგისტრო ნაშრომი

იურიდიული ფაკულტეტი

კერძო ბიზნეს სამართლის მიმართულება

"სასოფლო-სამეურნეო მიწის რეგისტრაციისას საკუთრების უფლების შეზღუდვა"

ავტორი: ბექა შენგელია

ხელმძღვანელი: ნინო ქათამაძე

სარჩევი

სარჩევი.....1

აბსტრაქტი.....2

1)შესავალი.....2

2)ისტორიულიგანვითარება.....7

3) საკუთრების უფლების შეძენა სასოფლო-სამეურნეო მიწაზე.....12

3.1) საკუთრების უფლების რეგისტრაციის საკანონმდებლო რეგულაცია სასოფლო-სამეურნეო მიწაზე.....13

3.2)სასოფლო-სამოეურნეომიწაზეუცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ საკუთრების უფლებისშეძენა.....
.....18

4) საკუთრების უფლების შეზღუდვა და მისი ასპექტები.....23

4.1) საკუთრების უფლების შეზღუდვა, ექსპროპრიაცია.....23

4.2)საკუთრების უფლების შეზღუდვის მიზნები.....27

4.3) საკუთრების უფლების შეზღუდვის ფარგლები.....30

5)საკუთრებისუფლებისდაცვისკონსტიტუციურიგარანტიები.....36

6) საქართველოსსაკონსტიტუციოსასამართლოს პრაქტიკა.....43

7)დასკვნა.....50

8) ბილიოგრაფი.....52

აბსტრაქტი

წინამდებარე თემა წარმოადგენს, უძრავ ქონების რეგისტრაციისას საკუთრების უფლების შეზღუდვის განხილვას, კერძოდ კი უცხოელებთან მიმართებით მსგავსი შეზღუდვების აუცილებლობის შეფასებას. აღნიშნული საკითხის აქტუალურობა განპირობებულია ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებით, თავდაპირველად პარლამენტის მიერ გამოცხადებული მორატორიუმი, რასაც მოჰყვა შემდგომში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მისი გაუქმება, საპასუხოდ პარლამენტმა კიდევ ერთი გადაწყვეტილება მიიღო და საკონსტიტუციო სასამართლოში მიღებული გადაწყვეტილებაც არ მიიჩნია დასაბუთებულად და პარლამენტმა კიდევ ერთი საქმე წააგო საკონსტიტუიო სასამართლოში. საკითხის განხილვას ვიწყებთ ისტორიული მიმოხილვით, შემდგომში განვიხილავთ არსებულ რეგულაციებს, ბოლოს კი საკუთრების უფლების კონსტიტუციურ გარატიებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას მიმოვიხილავთ.

ნაშრომი შედგება შესავლისგან, სადაც ზოგადად მიმოხილულია მთავარი საკითხი და მისი აქტუალურობა, ძირითადი ნაწილისგან, სადაც უშუალოდ არის განხილული შესავალ ნაწილში დასმული საკითხები და დასკვნისგან, რომელიც აჯამებს ნაშრომში მოცემულ მსჯელობებს.